მარცვლებად დაჭრილი ბარათები

მოსწავლეები ცდილობენ გამოიცნონ სიტყვის შემადგენელი მარცვლები ზოლებად დანაწევრებული სურათის მიხედვით, რომლის თითოეული ზოლი თითო მარცვალს შეესაბამება.



კლასი: I

მუშაობის ფორმა: მთელი კლასი

რესურსი: ვერტიკალური ხაზებით დაყოფილი სურათიანი ბარათები

მსვლელობა

- მასწავლებელი უჩვენებს ბავშვებს სურათს რაიმე გამოსახულებით (მაგ., სოკო) და ხმამაღლა დაუმარცვლავს ამ სიტყვას („სო-კო“).
- შემდეგ აჩვენებს ბარათს სხვა გამოსახულებით და ახლა უკვე მათთან ერთად დამარცვლავს ამ სიტყვას (მაგ., „ხელი“).
- შემდეგ აჩვენებს სურათიან ბარათს, რომელზეც გამოსახულება იმდენ ნაწილად არის დაჭრილი ვერტიკალურ ზოლებად, რამდენი მარცვლისგანაც შედგება ეს სიტყვა (ბარათის თითოეული ზოლი სიტყვის თითო მარცვალს შეესაბამება).
- მასწავლებელი განუმარტავს ბავშვებს, რომ ნახატი იმდენ ნაწილად არის დაყოფილი, რამდენი მარცვალიცაა სიტყვაში და რომ ეს დაეხმარება სწორად დამარცვლაში. თავადაც აკეთებს მოდელირებას ერთ ნიმუშზე (შეიძლება „მარცვლებზე“ თითის დადებაც).
- შემდეგ უკვე ბავშვები ამოიცნობენ მასწავლებლის მიერ მინიშნებულ ცალკეულ მარცვლებს ან მარცვალ-მარცვალ წარმოთქვამენ ამა თუ იმ სურათზე გამოსახულ სიტყვებს.
- მასწავლებელი თანდათანობით გაართულებს სიტყვებს (გაზრდის მარცვლებისა და ბგერების რაოდენობას).

ვარიაცია

მასწავლებელი აკეცავს ბარათის ამა თუ იმ ზოლს და ჰკითხავს ბავშვებს, თუ რომელი მარცვალია „აკეცილი“, რომელი - დარჩენილი.

შენიშვნა: შესაძლებელია ამავე აქტივობის ჩატარება ბგერებად დაშლილ სიტყვებზე სავარჯიშოდაც.